რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 13 მარტი 1918 წ.

# ჩვენი ბრძოლა

ყოველდღიური გაზეთი.

№ 5

ფასი 15 კ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. ფული, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Воронцовская ул., „Ламнари"—Михаилу Медзмаріашвили для газ. „Чвени Врдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კაპეიკი.

ცალკე ნომერი ყველგან 15 კაპ.

ორგანო დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების).

ამხანაგებო! ჩვენი ამხანაგი ქუთ. მუშ. და ჯარის-კაცთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრი **ბუდუ მდივანი** ჯერ ჩხენკელ-ღეღეჭკორების „რევოლიუციონერების" განაჩენით ჩხარში ლექციის წაკითხვისათვის შორაპნის მაზრიდან სამუდამოთ გადაასახლეს, ახლა კი სამეგრელოში ხალხის მიწვევით მიტინგებზე გამოსვლისათვის დააკავეს და ადმინისტრატიული წესით ციხეში ჩასვეს სამი თვის ვადით. ამასთან ერთად დააკავეს და იგივე სასჯელი გადაუწყვიტეს ჩვენს ამხ. **ალ. გეგეჭკორს.**

**ამხანაგებო!** დამსახურებულ რევოლიუციონერებს პოლიციური წესით ციხეში ერიან და ხალხთან დაახლოების საშუალებას უსპობენ! ჩვენი ამხანაგები თამამათ წარსდგებიან რევოლიუციონურ სასამართლოს წინაშე.

## მოითხოვეთ რევოლიუციონერების განთავისუფლება.

### ხმა აიმაღლეთ ლეჩხუმელებზე ძალადობის წინააღმდეგ!

ორი კვირაა, რაც მთელი ლეჩხუმის მაზრა — დიდი და პატარა, მამაკაცი და დედაკაცი, ჯანმთელი და ავათმყოფი, გლეხი და მუშა, — ალყა შემორტყმულია და კანონს გარეშეა გამოცხადებული. საქმის გამოუძიებლათ, ვიღაც ტელეგრაფისტის შეტყობინებით ლაილაშიდან, გუბ. კომისარმა და ადგილობრივ მენშევიკებმა გვარდიელები გააგზავნეს ლეჩხუმში და ამით უმწვერვალესათ გაართულეს მდგომარეობა. ლეჩხუმელებმა ვერ იცვნეს ასეთ პირობებში რაზმელები [ამხანაგებათ და მეგობრებათ, გზა შეუკრენ მათ და უკან გამოაბრუნეს, დაიტოვეს მხოლოდ ზედმეტი იარაღი, თუმც შეეძლოთ სულ აერთმიათ იარაღი, ცხენები და ავტომობილები. მთელს ლეჩხუმში იშვიათი წესიერება ყოფილა დაცული, როგორც ეს ჩვენმა საგანგებოთ გაგზავნილმა ამხანაგმა საკუთარი თვალით ნახა. ლეჩხუმელებს მხოლოდ თავისი უბრალო მოქალაქობრივი უფლება განუხორციელებიათ, უვარგისი მოხელეები გადაუყენებიათ და მათ მაგიერ აურჩევიათ სხვები. არც არავინ დაუტუსაღებიათ, არც მკვლელობა ჩაუდენიათ. ლევან დადეშქელიანის მუხანათურ მკვლელობას, ამ საშინელ საზიზღრობას ხალხი ერთხულოვანათ გმობს და სრულიებით არ ფიქრობს ლევანის მკვლელს შუბლი დაუკოცნოს. რეაქციონერებს და ხულიგანებს იქ ჰაჰანებაც არ შესძლებიათ ახლა, თავად აზნაურობას საქმეში არ ირევენ. და ასეთი კუთხე გამოცხადებულია შავრაზმელთა და კონტრ-რევოლიუციონერთა ბუდეთ, ალყა შემორტყმულია, კანონს გარეშე დაყენებული და უსურსათოთ, უმარილოთაც დატოვებული. ისედაც დამშეულ ლეჩხუმელებს სრულებით ესპობათ პური არსებობისა, შიმშილის საყელური აქვთ მოხვეული და დახრჩობა ელით. ნუ თუ მოსაზღვრე მაზრები, ქართველი გლეხები და მუშები, აულშფოთებლათ შეურიგდებიან ასეთ ბოროტებას, ლეჩხუმელების დამნაშაობაც რომ დამტკიცებული იყოს? ხმა აიმაღლეთ, მოითხოვეთ კრებებზე და მიტინგებზე დაუყოვნებლივ საალყო წესების მოხსნა! საქმე გამოიძიოს პარტიების წარმომადგენლების კომისიამ და რევოლიუციონურ სამართალში მისცეს ყველა დამნაშავენი, ვისაც კი წილი უდევს ამ ბოროტებაში, ვინც კი არ უნდა იყოს ის.

ძმა ძმისთვინო შავი დღისთვინო. ლეჩხუმელებმა თავისუფლად განძრევა მოისურვეს — ახალ ბატონებს სურთ ჩააშხამონ მათ ეს, უნდათ შიმშილით ხელახლა დააჩოქონ გადაყენებულ კომისრების წინაშე. შეიძლება შეცდენ ლეჩხუმლები რამეში-დეე თვით ხალხმა დაინახოს ეს რევოლიუციონერებისგან და არა ტყვიისმფრქვევლების და ზარბაზნების ზეგავლენით. საალყო წესები უნდა მოიხსნას, მაშინ და მხოლოდ მაშინ შესაძლებელი იქნება ჭეშმარიტების გაგება.

გაუმარჯოს ლეჩხუმის რევოლიუციონურ გლეხების თვითმოქმედებას! ძირს ლეჩხუმის შავრაზმელ ხულიგნები, თუ კი ასეთები იქ მოიპოვებიან!

### ამიერ-კავკასიის სეიმი და მიწის საკითხი.

(დასას. იხ. „ჩვენი ბრძოლა" № 4)

მიწის საკითხის გადაჭრა ეს გლეხების ანუ სოფლის მუშების საკითხია. კანონს კი მხედველობაში ყავს მხოლოთ ის სხვილი მემამულეები, რომელთაც მიწების ერთი ნაწილი უნდა ჩამოერთვას. კანონი ზრუნავს არა იმაზე, თუ როგორ და რანაირათ უნდა იქნას დაკმაყოფილებული მიწით უმიწაწყლო და მცირე მიწიანი გლეხობა, არამედ ის ზრუნავს იმაზე, თუ რამდენი მიწა უნდა დავუტოვოთ მემამულეებს საკუთრებათ, რომ იმათ წინანდულათ, ბატონურათ, შესძლონ ცხოვრება. კანონი, ერთი სიტყვით, არ იხსენიებს იმას, თუ რამდენი მიწა უნდა იქნას გლეხებისთვის მინიმალური ან მაქსიმალური ნორმა, რომ იმათ შესძლონ ადამიანურათ ცხოვრება. სამაგიეროთ სეიმის კანონი შესანიშნავათ ზრუნავს იმაზე, რომ მსხვილი მემამულეები უზრუნველყოფილი იქნან მიწის საკმარისი რაოდენობით. იმათ უტოვებენ 7-დან 40 დესეტინამდე მიწას, იმის მიხედვით, თუ რა კულტურის ან რა ხასიათის მეურნეობას მისდევს მემამულე. ეს ნორმა, სეიმის მიერ მიღებულ კანონის ძალით კიდევ, შეიძლება გადიდებული იქნას 10 დესეტინიდან 50 დესეტინამდე. ე. ი. ადგილობრივი ზომით ეს იქნება დაახლოვებით 28 ქცევიდან 130 ქცევამდე. ამნაირათ მემამულეებს ჩამოერთმევათ მხოლოთ ამ ნორმის ზევით.

როგორც ვიცით, ჩვენში იშვიათია ისეთი მემამულე, რომლის ქონება ამ ნორმას აღემატებოდეს. ამ გარემოებას კარგათ უწევდენ ანგარიშს სეიმის ყველა პარტიები, და ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მიწის იმ ნორმას, რომელიც მემამულეებს უნდა დარჩესთ, დიდი კამათი არ გამოუწვევია ვინაიდან ფაქტიურათ მემამულეთა დიდი უმრავლესობა შეინარჩუნებს, რაც დღეს აქვს. მაგრამ ამ გარემოებას სხვა უფრო საყურადღებო მხარე აქვს. თუ მემამულეთა დიდ უმრავლესობას დარჩება ხელში ყველა ის მიწები, რომლებსაც დღეს ისინი ფლობენ, ამით რა თქმა უნდა, ძალზე უნდა შემცირდეს იმ მიწების ფონდი, საიდანაც უმიწა-წყლო და მცირე მიწიანი გლეხობა უნდა იქნას დაკმაყოფილებული. მეტათ საგულისხმიეროა ის გარემოება, რომ ამის შესახებ სეიმში არავის არ შეუწუხებია თავი, თუმც სიტყვით მენშევიკები მუდამ იმას გაიძახიან, რომ მიწები გლეხებს გადაეცესო. ერთი ვიკითხოთ, რაღა უნდა გადასცენ გლეხებს, თუ მემამულეებს დაუტოვებენ ხელუხლებლათ იმას, რასაც დღეს ისინი ფლობენ! ამის შემდეგ რაღა ფასი უნდა ქონდეს გაზ „ერთობის" შემდეგ სიტყვებს: „ამიერიდან სოფლად მოსპობილია მემამულეს უპირატესობანი; სოფლის მუშას, გლეხ-კაცს თავისუფალ განვითარებისთვის გზა ეხსნება და ისიც სწორუფლებიანი მოქალაქე ხდება!"

ე ყველა ბურჟუა ლიბერალის სიტყვებია, და არა სოციალისტის. „სწორუფლებიანობას" მხოლოთ მაშინ აქვს საფუძველი, როცა ის დამყარებულია ნივთიერ თანასწორობაზე. როგორ შეიძლება ამ თანასწორობაზე ლაპარაკი, როცა ერთს 100

ქცევა მიწა აქვს და მეორეს კი სამი ქცევაც არ მოეპოვება. სეიმის კანონის ყოვლად შეუფერებლობა დღევანდელ პირობებთან იმითაც მტკიცდება, რომ ის მემამულეებში კარგავს არამჩნევს: მისთვის სულ ერთია, საჭიროებს ეს თუ ის მემამულე მიწის იმ ნორმაში, რომელსაც სეიმის კანონი მას ხელუხლებლად უტოვებს. შეიძლება მემამულე სრულებით არ საჭიროებს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არა თუ 7 დესეტინა მიწას, არამედ დესეტინასაც, შეიძლება მას ცხოვრების სხვა წყაროებიც აქვს, მაგრამ სეიმი ამას სრულებით არ აქცევს ყურადღებას.

და ამავე დროს კი, სოფლის მუშას, რომელიც მხოლოთ მიწის მუშაობით ირჩენს თავს, იძულებულია ასეთ მემამულეს მიმართოს და მისგან იჯარით აიღოს მიწა. ვეკითხებით მენშევიკებს: განა ეს არის უპირატესობების მოსპობა? განა ეს არის ყველა მოქალაქის სწორუფლებიანობა? არა და არა. ეს არის წინანდელი უპირატესობათა ისევ ძალაში დატოვება, ეს არ არის მხოლოთ ბურჟუაზიული სწორუფლებიანობა. გადავიდეთ ახლა სეიმის კანონის სხვა კიდევ უფრო არსებით მხარეებზე.

დღევანდელმა რევოლიუციამ წამოაყენა მიწის საკითხის რადიკალურათ გადაჭრა. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან მიწის მფლობელობის ფორმა ძირიანათ უნდა შეიცვალოს. უამისოთ მიწის საკითხის გადაჭრა შეუძლებელია. უნდა სამუდამოთ მოისპოს მიწის კერძო საკუთრება და აიკრძალოს მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება ან სხვა გვარათ მიწის სხვაზე გადაცემა. ყველა მიწები ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, და თვით ხალხი, სოფლის მუშები, უნდა განაგებდენ ამ მიწებს. მენშევიკები ამბობენ, ბოლშევიკებს უნდათ წვრილ გლეხობას საკუთრება წაართვანო. ეს საზიზღარი დემაგოგია და ტყუილია. წვრილ მესაკუთრე გლეხს, რომელიც თავის შრომით ამუშავებს მიწას, იმას არავინ მიწას არ ართმევს; პირიქით, ჩვენი პროგრამა, რომელიც აღიარებს მიწაზე მთელი მშრომელი ხალხის საკუთრების უფლებას, უზრუნველყოფს იმას, რომ სოფლის მუშას თავის სარგებლობაში საკმაო მიწა ქონდეს. რაც დღეს მას აქვს, ის ურჩება და კიდევ მიეცემს იმდენი, რამდენის დამუშავება მას შეუძლია თავისი შრომით. კერძო საკუთრების მოსპობა მიწაზე მიმართულია მხოლოდ მუქთა ხორა მემამულეების წინაღმდეგ, რომლებიც სხვისი შრომით ცხოვრობენ. და აი სწორეთ ამიტომაც არის, რომ კაპიტალისტები და მემამულეები თავგამოდებით იცავენ კერძო საკუთრებას, ამიტომაც არის, რომ სეიმი, რომლის დიდი უმრავლესობა პირდაპირ მემამულეების და კაპიტალისტების მხარეზეა, ისევ აკანონებს მიწაზე კერძო საკუთრებას, რაც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ უკვე მოსპო.

რაკი სეიმმა იცნო მიწაზე კერძო საკუთრება, მას მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის უფლებაც უნდა ეცნო. სეიმის კანონი ყრუთ ტოვებს ამ საკითხს, მაგრამ აშკარაა, რომ სეიმი მიწის ყიდვა-გაყიდვას აკანონებს. თუ ეს ასეა, მაშინ რაღა მნიშვნელობა უნდა ქონდეს სეიმის მიერ მიღებულ მიწის ნორმას, ან მიწების ჩამორთმევას? თუ სეიმის კანონი ცხოვრებაში გატარდა, იმ შემთხვევაში არავითარი ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ იმაში, რომ ერთი წლის შემდეგ ჩვენში დამყარდება ისეთივე მდგომარეობა, როგორიც იყო რევოლიუციის წინ, იმ განსხვავებით, რომ წინანდელი მემამულეების ადგილას, მაშინ იქნებიან ახალი ყაიდის მემამულეები.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ მიწის საკითხის გადაჭრა დღეს მიწაზე კერძო საკუთრების შენახვით, მიწის თავისუფლების ყიდვა-გაყიდვის დაცვით, ეს არ არის ამ საკითხის რევოლიუციონური გადაჭრა; ეს არ არის მიწის საკითხის სამართლიანათ, ე. ი. გლეხების სასარგებლოთ, გადაჭრა; ისეთი გადაჭრა ამ საკითხს, როგორიც ამიერ-კავკასიის სეიმმა დააკანონა, სასარგებლოა მხოლოთ შეძლებულ პირებისა და მემამულეებისათვის. ეს ჩვენ დავამტკიცეთ. აქედან აშკარაა, რომ მიწის საკითხის სამართლიანი გადაჭრა სხვა გზით უნდა მოხდეს, ი. ი. თვით გლეხობამ, თვით სოფლის მუშებმა უნდა გადაჭრან ეს საკითხი ისე, როგორც ამას მშრომელთა ინტერესები თხოულობენ.

## ბუტიაობენ.

7 მარტს სეიმში მენშევიკ ის. რამიშვილმა შეკითხვით მიმართა მთავრობას: „მე ვითხოვ ჩვენის მთავრობისაგან გვაუწყოს ხოლმე როგორც სხვილმან, აგრეთვე წვრილმან და ნაკლებად მნიშვნელოვან ამბებზე. მართალია თუ არა, რომ ქ. ახალციხე ორი მხრით ალყა შემორტყმულია, ჯარს იქით არ უშვებენ... თუ ყველა ეს მოხდა, რა ზომა მიიღო ამის მოსასპობად მთავრობამ?“ როგორც ნეტარხსენებულ სახელმწ. სათათბიროში, აქაც ხალხის მოციქული მთავრობას შესჩივის ხალხის უბედურებას, იცი თუ არაო, და თუ იცი, რა მალამო დასდევი ხალხის წყლულსო? ერთგვარი წარმტაცია ეს სურათი, თუმცა ის. რამიშვილის შეკითხვიდან არ სჩანს — „სხვილმან თუ წვრილმან“ ამბავად მიაჩნია მას ახალციხის უბედურება. მიუხედავათ ამისა, მის გამოსვლაში ერთი რამ არის საინტერესო. შეკითხვის საგნათ მას გაუხდია ერთი სამაზრო ქალაქი, რომელიც ორი მხრით ალყა შემორტყმული ყოფილა. შეკითხვაც და სათანადო ღონისძიებაც ქალაქის საშველათ საჭიროა და სავალდებულო, მით უმეტეს იმ დეპუტატის შეხედულებით, რომელიც თავის თავს სოციალისტს უწოდებს. მაგრამ, როცა ალყა შემორტყმულია არა მარტო სამაზრო ქალაქი, არამედ მთელი მაზრა დაბა სოფლებით, როცა ეს მაზრა კანონს გარეშეა გამოცხადებული გუბერნატორის განკარგულებით, როცა მარტო ორი მხრიდან კი არ აქვს ჩაკეტილი გამოსავალი, არამედ ოთხივე მხრიდან, როცა იქ უმანკო ბავშვებს ეგებ უჭმელოთ იხოცებიან, და ამ გაუგონარი, ცინიკური ძალადობა თითქმის ორი კვირე გრძელდებოდა — არის თუ არა საჭირო და სავალდებულო იმნაირი შეკითხვა და ზომების მიღება? თუ ეს მენშევიკების ოჯახური საქმეა და ლეჩხუმის ამბავი — წვრილმანი თუ სხვილმანი — სეიმში შეკითხვის საგნათ გახდომა ყოვლად შეუწყნარებელია პარლამენტის კრეტინებისათვის? უნდა ველოდეთ იმას, რომ მუსავატის პარტია ან დაშნაკელები შეეკითხებიან მთავრობას ლეჩხუმის შესახებ, მენშევიკები კი შეეცდებიან ცხვირი არ შემოაყოფიონ მათ თავის სამფლობელოში.

რა უპასუხა ახალციხის შეკითხვაზე მთავრობამ? ბ. გეგეჭკორი აიტკიცა, ჯერ დაამშვიდა სეიმი განცხადებით, რომ მთავრობამ მიიღო ყველა ზომები, „უწესოების სალიკვიდაციოო“ გააგზავნა გენერალი და სხვა. მერე კი სიტყვა შეუბრუნა, როგორც რამიშვილს, ისე მთელ სეიმს და თვითონ დაუსვა კითხვა: „ფიქრობთ თუ არა ზურგი გაუმაგროთ თქვენი თანაგრძნობით მთავრობას? თუ საქმით ეს მალე არ მოხერხდა მაშინ უკეთესი იქნება დაისვას საკითხი ერთი ერთმანეთისგან განშორებისა. უნდა ითქვას, რომ თქვენ შორის რწმენა ერთი მეორისა არ არის. მარტო ლამაზი სიტყვებით, რომელნიც ყველა ჩვენგანს გვეხერხება, მთავრობა ვერ გაძლიერდება. იცით თუ არა თქვენ, რომ არც ერთი პარტია მხარს არ უჭერს მთავრობას?“

ერთი ერთმანეთისაგან განშორება; ერთმანეთის უნდობლობა, მხოლოდ ლამაზი სიტყვები, საქმე კი არა; არც ერთი ფრაქცია მხარს არ უჭერს მთავრობას — და ყოველივე ეს არა ბოლშევიკის პირიდან, არამედ ევ. გეგეჭკორისაგან, მახლას, ამიერ-კავკასიის მოქალაქე, რას არ მოესწრები ცოდვის შვილი ამ უცნაურ ქვეყანაში. გაგიგონიათ ალბად არაკი იმ ახირებულ მეფის შესახებ, რომელსაც მოეხალისა თავის სატახტო ქალაქის ქუჩებზე სრულებით უტანისამოსოთ გასეირნება. აედევნენ ქვეშევრდომნი, მოწიწებით სალამს აძლევდენ, მოკრძალებით გზას უტევდენ და სულაც ვერ შეენიშნათ მისი სიტიტვლე. უეცრად ერთმა გაბედულმა ბაშვმა მხიარულათ დაიყვირა — „მეფე ტიტველიაო,“ და მით გამოამჟღავნა მეფის ახირებულება.

ე. გეგეჭკორმაც მხოლოდ გამოამჟღავნა „დაფარული სენი“ კოალიციის, რომელიც ლამაზ სიტყვებით მალავს დრომდის თავის საშურისებურ უძლურებას და უნიადაგობას. ამაო იყო ქვათაყოფელი ჩხეიძის გეგეჭკორის კალთის ჩამოწევა, ამაო იყო ნ. ჟორდანიას მედავითნისებური განმარტება იმის შესახებ, რომ მენშევიკები მუდამ უჭერდენ და შემდეგშიაც დაუჭერენ მხარს მთავრობას, სულ უნუგეშო იყო მუსავატელების ხელის გაქნევა — ჩვენ მთავრობაში არ შევსულვართ და არც შეგვეხება საყვედურიო, გახვრეტილ კაპიკათაც არ ღირდა დაშნაკელების ფიცი — თქვენთან ვართ და თქვენთან ვიქნებით უკუნითი, უკუნისამდეო — წასულია საქმე იმ ვითომ ერთმანეთზე შეყვარებულთა, რომლებიც სიტყვით არწმუნებენ ერთმანეთს სიყვარულში.

გარეგნულათ ბუტიაობა დათავდა ოჯახურათ. იმავე ის. რამიშვილის რეზოლიუცია — ვიწონებთ მთავრობის მოქმედებას და გადავდივართ მორიგ საკითხებზეო — ერთხმად იქნა მიღებული. „მორიგ“ სიტყვებზე აღარ გადასულან იმ ღამეს, უკვე ნაშუაღამევი იყო.

## პრესის მიმოხილვა.

„ერთობა“ საზეიმო გუნებაზეა სეიმის მიერ მიწის კანონის მიღების გამო. თუ რისთვის ხაჭაპურსავით უცბათ გამოაცხვეს ეს „კანონი“ რომელიც უფრო მენშევიკურ რეზოლიუციას წააგავს, სჩანს გაზეთის სიტყვებიდან;

> მიწის საკითხი ერთის მთავარი საკითხთაგანია დღევანდელ რევოლიუციაში და მის სამართლიანად გადაჭრას შეუძლია ცხოვრების არევ-დარევის მოსპობა და მტკიცე მთავრობისთვის ნიადაგის მომზადება.

მაშ ასე, ცხოვრება აირია, მთავრობა უნიადაგოთ ჰაერში გადმოკიდა, აუცილებელია ხალხს დასაწყნარებელი ძვალი დაანახვო. მხოლოდ დაანახვო, რადგანაც როგორც სჩანს ახლავე მიწის მიღებას ნურავინ იფიქრებს:

> ჩვენი ღრმა რწმენით, მიწის საკითხის საბოლოოვოთ გადაწყვეტა, მიწათმფლობელობის წესის დამყარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ამისთვის უტყუარი ცნობები გვექნება ხელთ.

მეცამეტე თვეა, რაც რევოლიუცია სწარმოებს და თუ ამ დროს არ მოისურვებს „უტყუარი ცნობების“ შეკრება, სჩანს „მიწათმფლობელობის წესის დამყარებას“ მოუნდება არა ნაკლები დრო, მანამდის კი მიწის საკითხი ჩაილურის წყალს დალევს ეგებ-ასე ფიქრობენ და იმედობენ მემამულეები, რომლებმაც ისე თამამლათ მისცეს სეიმში ხმა „მიწის რეფორმას“, თითქო მათ კი არ მოელოდა მიწების ჩამორთმევა, არამედ მათ ნაყმებს და ხიზნებს.

> გაზეთი თანდათან შედის როლში და ქვეყანას აჯერებს, რომ მხოლოდ გულუბრყვილო პირებს და უპასუხისმგებლო დემაგოგებს შეუძლიათ გვისაყვედურონ მიწის საკითხის გადაჭრის დაგვიანება. ჩვენ კი ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ რომ ისეთს რთულ საკითხში, როგორც მიწის საკითხია, საჭიროა ფრთხილი და წინდახედული მოქმედება.

დააგვიანეს, მარა ახლაც გვიცხადებენ, რომ „ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ,“ რომ საკითხი რთულია. ე. ი. მეორე მოსვლამდისაც ეგებ ვერ ეღირსოს მას გადაჭრა. მაგრამ არეულ-დარევის გამომწვევი მიზეზების მოსპობა ხომ გსურთ გულწრფელათ ბატონებო? მთავრობისთვის მტკიცე ნიადაგის შექმნაც ხომ ახლა გინდათ? მაშ როგორ მორიგდებით ხალხთან? ნისიათ აღარ გენდობათ, თუმცა თქვენ ცირკის კლოუნების სერიოზულ პოზაში დგებით და გვამცნობთ, რომ

> ეს კანონი სოც.-დემოკრატიის პირმშო შვილია. და ჩვენ სავსებით ვღებულობთ პასუხის მგებლობას.

და კიდევ:

> „ჩვენ მზათ ვართ წარვსდგეთ ხალხის წინაშე და მისი სამართალი მოვისმინოთ“...

საინტერესოა, რამდენი ტყვია მფრქვეველი და ზარბაზნები გყავდათ ლებათ იმ კრების გარშემო, რომლის წინაშე თქვენ „წარსდგებით მართლის მოსასმენათ“. რამდენი ალექსანდრეს ბაღში და სოფ. ჯუნაში მიტინგზე გყავდათ, თუ არო მეტი?

* * *

ფუვ ,,ერთობა'' ნაციონალისტებს უკიჟინებს, რომ ისინი ,,მუდამ დიდ ლოიალობას იჩენენ თვითმპყრობელობის ჯალათებისადმი'' ნეტავ ეს ყოფილ მენშევიკები, გენ. ლიახოვისთვის, იმ გენერლისთვის, რომელმაც სპარსეთის ხალხის სისხლით მორწყული პარლამენტი, ზარბაზნებით გაანადგურა, მთელი ძალა-უფლების ჩართვევა რევოლიუციის დროს, ამასთანავე ჯარის რევოლიუციონურ ორგანიზაციების უფლების გაბათილება და მარტოოდენ სამხარეულოსა და სხ ფუსფუსობის სიწმინდეზე მათი მიჩენა—ყველა ეს ,,ჯალათებისადმი ლოიალობა'', და კიდევ უფრო უარესი რამეა, თუ რევოლიუციის გაღრმავება? კორნილოვ ალექსეევიც მოიპატიჟეთ ბარემ, ისინიც ხომ ასეთ საქმეებში მეტის-მეტათ გამოცდილი და დახელოვნებული სარდლებია, მით უფრო, რომ მათი ტიკინები პირველ კალობენ თქვენს მთავრობაშიც კი.

## სასამღროვო წერილები.

### 2.

### ვინ არიან მენშევიკები?

ჩვენში არსებობს ერთი პარტია, რომელიც თავის თავს უწოდებს მუშათა პარტიას და გამოაქვს თავის დევიზათ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!"

ყოველი პარტია ხასიათდება არა იმით, თუ რას უწოდებს ის თავის თავს და რა გამოაქვს დევიზათ, არამედ იმით, თუ ვისგან შესდგება, ვის ინტერესებს იცავს ის და როგორია მისი მოქმედება სინამდვილეში.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ დღეს მენშევიკების ბანაკში თავს იყრიან წვრილი ვაჭრები და გლეხობის შეძლებული ნაწილი, ერთი სიტყვით, წვრილი ბურჟუაზია. რაც შეეხება ღარიბ უმიწწყლო გლეხობას—ეს უკანასკნელი თავს იყრის ბოლშევიკების პარტიაში. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი ბოლშევიკურ ორგანიზაციების გამრავლებაა სოფლად, ერთი მხრით, და მენშევიკების კომისარებისადმი უნდობლობის გამოცხადება გლეხების მიერ. ღარიბ გლეხების ასეთ მოთხოვნაზე, მენშევიკები კი ტყვია-ფრქვევლებით და ზარბაზნებით უპასუხებენ (რაჭა-ლეჩხუმში „წითელ"-გვარდიელების გაგზავნა)

როგორ მოგწონთ? მუშათა პარტია მუშებთან ტყვიის-ფრქვევლებით ლაპარაკობს. შეიძლება ყველაფერი ეს, ისეთი „მუშათა" პარტიისათვის, როგორიც მენშევიკების პარტიაა, მისაწონიც იყოს, მაგრამ არა მგონი, რომ ნამდვილმა მუშათა პარტიამ, რომელიც ყველაფერს მუშათა და ღარიბ გლეხთა ინტერესებს უმორჩილებს, მოიწონოს ასეთი საქციელი. მაგრამ მენშევიკები ხომ უმთავრესათ პარტიის ინტერესებს უმორჩილებენ ყველაფერს და არა მუშებისას. მუშების და ღარიბი უმიწა-წყლო გლეხების ინტერესებს ისინი მხოლოდ იმდენათ იცავენ, რამდენათაც ეს სასარგებლოა მათი, ე. ი. მენშევიკების პარტიისათვის. ამას აშკარათ და გულახდილათ ამბობს მათი ბელადი, ნოე ჟორდანია თავის მოხსენებაში მიმდინარე მომენტზე, რომელიც მან გააკეთა კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა საგანგებო ყრილობაზე: „ჩვენ პეტროგრადში,—ამბობს ის,—დემოკრატიულ ბანაკის საქციელ-ში ვუმტკიცებდით ამხანაგებს, თუ არ ვაწარმოებდით აქტიურ პოლიტიკას ზავის მოსაახლოვებლათ, მიწების ნაწილს მაინც არ გადავსცემდით გლეხებს და სხვ. და სხვ.—მაშინ მუშების ნაწილი გადავიდოდა ბოლშევიკების ბანაკში". (იხ გაზ. „ერთობა" № 224, 1917 წ.)

აი რაშია საქმე თურმე, „ზავის მოსაახლოვებლათ აქტიური პოლიტიკის წარმოება" და „გლეხებისათვის მიწების ნაწილის მაინც გადცემა იმიტომ კი არ არის საჭირო თურმე, რომ ამას მშრომელი ხალხის ინტერესები მოითხოვს, არამედ იმიტომ, რომ მენშევიკებს მუშები და გლეხები არ ჩამოცილდნენ, ე. ი. ამას მოითხოვს მენშევიკების „მუშათა" პარტიის ინტერესი. ვის შეეპარება აჭი ეჭვი ამ „მუშათა" პარტიის სიფაქიზეში და სიწმიდეში'

ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ერთი უნდა ვკითხოთ ჩვენ მენშევიკებს: რა პირობით გამოაქვთ მათ თავის დევიზათ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით", მას შემდეგ რაც რომ ისინი გამოეყვნენ რევოლიუციონურ რუსეთის პროლეტარიატს, იმ პროლეტარიატს, რომელმაც დაამხო კაპიტალისტების, მემამულეების და ბანკირების, ერთი სიტყვით, მდიდრების ბატონობა, და შექმნეს მუშების და ღარიბ გლეხების მთავრობა; თუ მათის აზრით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით", ნიშნავს, რომ დაიარს. ქართული ნაციონალური საბჭო და შეუერთდე ქართველ კაპიტალისტებს, მემამულეებს და ბანკირებს? ანდა შექმნა რაღაც კომისარიატი თუ სეიმე და თათრის ბეგებთან და სომხის ბურჟუაზიასთან ითანამშრომლო და გაილაშქრო, როგორც თათრის, ისე ქართველ გლეხების „ანარქიულ" გამოსვლების წინააღმდეგ? შეიძლება, მაგრამ ერთი კი უნდა ვთქვა: რეკლამების დრო წავიდა, ხალხის მოტყუილება აწი რეკლამით ყოვლად შეუძლებელია, ის ახლა საქმეს უყურებს, და ეს საქმე, მოქმედება მენშევიკებისა ნათლად გვაჩვენებს თუ ვინ არიან ისინი, ვის შეერთებას უწყობენ ხელს.

## ბათუმში მომხთარ ამბების გარშემო.

(დას. იხ. „ჩ. ბრძოლა" № 4.)

საკავ. ფლ. მატროსებმა დაარსა მეტად წოდებული „Совѣтъ семи" რომელიც თავის პოლიტიკური ფიზიონომიით უფრო აბორიგენულია, რომელსაც გულმოდგინეთ დაუახლოვდა მთელი ადგილობრივი აბორიგენების ყველა სახის ორგანიზაცია. „საკაზრო ფლოტის მეტად დატუსაღებული მატროსები მაშინათვე იქნენ განთავისუფლებულნი". ამბობს ჟორდანია მის მოხსენებაში. სად არის აქ დამოუკიდებელი კომიტეტი ეს ადამიანის... მთავარი რა ნაღდი ფაქტი თქვენ ამ მატროსების წინააღმდეგ რომელსაც სიმართლე უნდა მოუფიქროთ. აქ არის ერთგვარი ჩვეულებრივი აბორიგენული ცილის წამება. უკვე რომ ეუბნებოთ, პროვოკაცია; ვითომ სამხედრო ფლოტის მატროსებმა პროვინციალურათ უარი განაცხადეს ბათუმის დაცვაზე და გემები რუსეთში უნდა გაეტაცნათ. ვიმეორებ ამ კითხვაზედაც თუ ვინმე პროვოკატორმა ასეთი სარეკლამო ქმნაში წამოისროლა და თქვენ მას ხელი სტაცეთ და ქვეყანას აცნობეთ „დასვით რა ნაღდი ფაქტი მატროსებმა რისთვისაც მათი დასჯა აუცილებელი იყოსო". რა დაპატიოსნებას ასეთ საქციელს? თუ თქვენ ანგარიშს უწევთ ორგანიზაციას და მათ უსიტყვო ამ კითხვაზე შეხედულებას და პრინციპიალური გადაწყვეტილება სხვაა და არა ის რაც ანგარიშში მისაღები არ არის ყურადღების მიმცემ. მარტის პირველ რიცხვებში სამხედრო საზღვაო კომიტეტმა თავის სხდომაზე იქონია რა მსჯელობა არსებითი დღევანდელ მომენტზე იმ დასკვნამდე მივიდა რომ ბათუმის დაცვის საჭიროება აშკარათ ადიარა აი სწორეთ ეს დადგენილება რომ უკანასკნელი დაედასტურება სამხ. ფლ. მატროსების ყრილობას ამ მიზნისთვის გახლდათ მოწვეული ის ყრილობა სადაც თქვენი წარმომადგენელი დაესწრო სამ მარტს. ყრილობაზე თუმცა მამართულებამ თავი იჩინა, აბორიგენების წარმომადგენელი გამოდიოდნენ ვიწრო ეროვნული და ტერიტორიალური თვალთახედვის მოსაზრებით და აღიარებდნენ ქალაქ ბათუმის დაცვას ოსმალეთის შემოსევისგან. მეორე მიმართულება იცავდა იმ შეხედულებას სადაც მონაწილეობას ღებულობდა ბათუმის ბოლშევიკების კომიტეტის რამოდენიმე წევრი „რომ დღეს რევოლიუციონურ რუსეთს აღუას არტყამს ბურჟუაზიული რეაქცია რომელიც განადგურებას უპირებს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას და ერთი ასეთი გაძლიერებული დახვარი მზათ ყავია ხელში ოსმალეთის ბიუროკრატიულ რეაქციონურ მთავრობას კავკასიის დემოკრატიის გასანადგურებლათ, ამიტომ ქალაქ ბათუმში როგორც სტრატეგიული ადგილი უნდა დაცულ იქნას ოსმალეთის რეაქციის შემოსევისგან ვინაიდგან ბათუმის დაცვა მჭიდროდ დაკავშირებულია მთელი რუსეთის რევოლიუციონური ფრონტის დაცვასთან რისთვისაც აუცილებელი საჭიროა მთელი ფლოტის აქტიური გამოსვლა და სხვა." მერე პრინციპიალურათ რითი ეწინააღმდეგებოდა ამ შეხედულებას ის რეზოლიუცია რომელიც ყრილობამ მიიღო? ყრილობას ეს პრინციპიალური პოზიცია არ უარუყვია. ისინი უთითებდნენ ორ მთავარ მიზეზებზე. 1. „ის რომ სამხედრო ძალებს გაფართოება უნდა იმით რომ აქ კიდევ მოუვანილი იქნეს სამხედრო დიდი გემები, და ნაღმოსნები შეკვებული მტრით, და 2. ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა ცენტროფლოტის პოზიციის გაგება თუ ის როგორ უყურებს ამ კითხვას, და ამიტომ სანამ ეს პასუხი არ მიგვიღია მანამდე სერიოზულ მზადებას ვერ შევუდგებით ვინაიდან არც მტერი გვყავს, და არც სხვა საჭირო პირობები ხელს არ გვიწყობსო" და სხვა. გეკითხებით, სად არის აქ ის საბუთი, რომ მატროსებმა ბათუმის დაცვაზე გადაჭრით უარის თქვესო? რა ჭკუაა ასეთ ცილის წამებას თუ არა პროვოკაცია? სად არის თქვენთვის სერიოზული საბუთი, რომ მატროსებს გემების გატაცება უნდოდათ? რითი ამართლებთ თქვენს ჟანდარმულ თავდასხმას მატროსებზე აპრილით ბოლოში რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრიდან უნებლიეთ მოკლული და მატროსებს კი ბრალს დებთ. რითი მართლდებით ქვეყნისა და რევოლიუციის წინაშე თავს რომ მთელი შავი ზღვის ფლოტი გადაიკიდეთ ამ თავდასხმით და ნუ თუ ფიქრობთ სერიოზულ წინააღმდეგობას შეესწრებით რეაქციის წინააღმდეგ დაშორილი ერთ გემით? თქვენ მას სამგზავრებს მოუსპეთ ერთობაზე არჩეული დელეგატები რა აზრის გადასცემდა ცენტროფლოტს, და რა პასუხს მოიტანდნენ უკან. სამასამდე მატროსი დატუსაღეთ შემდეგ რამოდენიმე გამოუშვით. 6-ს მარტში ყველა მატროსების ყრილობაზე მოისმინეთ თუ არა ცენტროფლოტის წარმომადგენლის ყრილობის აცნობა რომ ბათუმის დაცვა აუცილებელია. სამწუხაროა ის რომ ცენტროფლოტის წარმომადგენელმა ვერ მოუსწრო ერთი დღით ადრე თქვენს „საგმირო საქმეს" რომ ეს ინციდენტი თავიდან აგვეცილებინა გარემოებისგან და რიხიანათ აცხადებთ, რომ მატროსებმა სამსახურში დარჩენა აღარ ისურვეს და სეველთა სამშობლოში გავისტუმრეთო. რაც შეეხება იმ ბრალდებას რომ სამხედრო გემები უნდა გაეტაცნათ რითაც თქვენს საქციელს ამართლებთ, დიდ ეს საძაგლობა გამოარკვია იმ კომისიამ რომლის დაუყონებლივ შედგენა წამოაყენა 6-ში მატროსების საერთო ყრილობამ და მოითხოვდნენ ერთ ხმით დამნაშავეთა სასტიკათ დასჯას თუ კი ასეთი ვინმე აღმოჩნდება. მაგრამ მე ვფიქრობ რომ ამ ინციდენტის თვით გათვრების გზის სისხაღზე გამოტანას ისეთივე ბედი არ ეწევა როგორც ეს მამქირისა და თბილისში 10 თებერვალში საზიზღარი თქვენს ნადენად საქმეებს. ერთი მენიშვნაც „ქალაქში დაამატიმრეს რამოდენიმე ბოლშევიკი ორატორები რომლებიც მატროსებს ურჩევდნენ გემების ნავთ სადგურიდან გაყვანას". აქაც სიყალბე! ვინ იყო ან სად იყო ასეთი ბოლშევიკი ორატორები რომ მატროსებს ურჩევდნენ გაქცევას? დაჭერილ ბოლშევიკთა შორის პარაქეთ მთელი თავგამოდებით უმტკიცებდნენ მატროსებს შათა დარჩენას საცადებელ საჭიროებას ასე რომ ჰქონდა ცრუ ფაქტებით, მოსაგვანია ერთი რუსული ანდაზა ჟორდანიაზე: „Слышалъ звонъ и не знаетъ гдѣ онъ".

მ. რაჭველი

## რევოლიუციონური რუსეთი

ჩვენი გაზეთის მეორე ნომერში მოთავსებულია გენ. კალედინის წერილი გენ. ალექსეევისადმი, რომელშიაც დონის კონტრ-რევოლიუციის სარდალი თვითმკვლელობის წინ ურჩევდა მთელი რუსეთის კონტრ-რევოლიუციის სარდალს ალექსეევს თავი დაენებებია ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას რუსეთში, უკუ ეგდო იმედი მათზე გამარჯვებისა. ახლა მოგვყავს წერილი გენ. ალექსეევისა, რომლითაც მან მიმართა საფრანგეთის საელჩოს და სთხოვდა სხვა ქვეყნის ჯარების გამოგზავნას დასახმარებლათ ბოლშევიკების წინააღმდეგ. რუსეთის ე. წ. მოკავშირეები საფრანგეთი, ინგლისი და ამ. რომლებიც ფულით, ავტომობილებით და სხვ. დახმარებას უწევდნენ კორნილოვს, ალექსეევს და კალედინს. გენ ალექსეევი სიკვდილზე მართლის თქმასაც ითხოვდა და გლეხების მოშველებას ემუდარებოდა.

კონვერტს წარწერა აქვს: საფრანგეთის მისსიაში ბარათი 27 იანვრიდან 1918 წ. ქ როსტოვი დონზე.

აი ბარათის შინაარსიც:

,,ძვირფასო გენერალო! საფრანგეთის მისსიის უფროსმა ქ. ნოვოჩერკასკში, პოლკ. გიუშემ ალბად გადმოგცათ უკვე თავის მოხსენებებში, თუ რა მდგომარეობაა დონის ოლქში და შეგატყობინათ ამ მდგომარეობით გამოწვეული ჩემი თხოვნა. მე გენერალი ალექსეევი ვარ. დონის ოლქი ამოვირჩიე მე მოხალისეთა არმიების შესადგენათ მიტომ, რომ ეს ტერიტორია საკმაოთ უზრუნველყო-

ფილია პურით, თანაც შედის სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირში, რომელიც, როგორც მე მეგონა, მდიდარი იყო როგორც ძლიერი ჯარით, ისე სხვა საშუალებებით. საფიქრებელი იყო, რომ ეს ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია ადვილათ დაიცავდა თავის დამოუკიდებლობას ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მე მეგონა, რომ კაზაკების დახმარებით ჩვენ სიმშვიდით შევადგენდით ახალ ძლიერ ჯარს რუსეთში წესიერების აღსადგენათ და ფრონტის გასაძლიერებლათ. ჩემი აზრი იყო დონი გადამექცია ბაზათ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა კაზაკები არ იყვენ მონდომებულნი რუსეთში წასასვლელათ და იქ წესიერების აღსადგენათ, მაგრამ მე მრწამდა, რომ თავის ქონებას, თავის ტერიტორიას მაინც კაზაკები დაიცავდენ და მათ უზრუნველყოფდენ უშიშრათ და უჩქარებლათ ახალ ჯარის მოწყობას, მაგრამ მე შევცდი.

კაზაკები პოლკებში, ფრონტიდან დაბრუნებული, სრულებით გახრწნილი არიან ზნეობრივათ. ბოლშევიზმის იდეები მიმდევრებს პოულობენ კაზაკების ფართო მასსაში. კაზაკები თავის საკუთარი მიწა-წყლის, თავის ქონების დასაცავათაც არ იბრძვიან. ისინი ღრმათ დარწმუნებულნი არიან, რომ ბოლშევიზმი მიმართულია მხოლოდ მდიდარი კლასების—ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის—წინააღმდეგ, და არა ოლქის წინააღმდეგ, სადაც დაცულია წესიერება და სადაც არის პური, ნახშირი, რკინა და ნავთი.

ჯერ კიდევ 26 გიორგობისთვეს 1917 წ. ჩვენ იძულებული შევიქენით როსტოვთან ახლო შეტაკებაში 400 კაცი ჩაგვეყარა, 12 იანვრიდან კი ჩვენ ბრძოლაში შევიყვანეთ ყველა, ვისაც კი ვამზადებდით. ჩვენ არ მოგვდის საომარი სამკაული და პატრონები, რადგან რუმინიის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს ჩვენ მოგვწყვიტეს ბოლშევიკების ძლიერ რაზმებმა. ჩვენ შეგვეძლო გადავსულიყავით ყუბანის ოლქში, მარა ყუბანის ჯარიც ძლივს იგერიებს ბოლშევიკების მოწოლას, იქაც მოხალისეები მოქმედებენ, ვინაიდან ყუბანის კაზაკებიც ზნეობრივათ გაიხრწნენ. ამასთანავე ყუბანის ოლქი ხელსაყრელი არაა, როგორც ბაზა ბოლშევიკებთან ბრძოლისა. ჩვენ უარს არ ვამბობთ ბრძოლის გაგრძელებაზე, თუმც ძალა გველევა უთანასწორო ბრძოლაში. თუ დახმარება არ მოგვივიდა, ჩვენ იძულებული ვიქნებით, მთელი რუსეთის და მის მოკავშირეების საუბედუროთ, მივატოვოთ დონის ტერიტორია, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური და სტრატეგიული. ამის აუცილებლობას მე დიდი ხანია ვხედავ და ამიტომ ვცდილობდი თანხმობა მიმეღო მთელი ჩეხოსლოვაკების კორპუსის თუ არა, ერთი დივიზიის მაინც დონისკენ გამოგზავნაზე, ეს საკმარისი იქნებოდა ბრძოლის გასაგრძელებლათ და მოხალისეთა რაზმების შედგენის გაგრძელებისათვის. მაგრამ სამწუხაროთ, კორპუსი უსაქმოთაა კიევის და პოლტავას რაიონში, დონის ტერიტორია კი გვეკარგება ჩვენ. ერთ ძლიერ დივიზიას რომ თავი მოეყარა არტილერიით ეკატერინოსლავ-ალექსანდროვსკ-სინელნიკოვოს რაიონში, გაგვიადვილებდა საქმეს, რადგან ბოლშევიკების ზურგისათვის საშიში იქნებოდა. იმ რაიონში საკმარისი იქნებოდა სამი ბატალიონის დატოვება, დივიზიის დანარჩენი ნაწილები კი უნდა გადასულიყვენ ნიკიტოვკა-დებალცევო-მაკეევკას რაიონში... თუ დასავლეთით ჩვენ უზრუნველყოფილ ვიქნებოდით, ჩვენ ძლიერ შეტევას დავიწყებდით ბოლშევიკების წინააღმდეგ სხვა მიმართულებით და ადგილობრივათ გავიმარჯვებდით. მთელი კორპუსის მოშველება კი შეგვაძლებინებდა უფრო ფართო ხასიათი მიგვეცა ჩვენი ბრძოლისათვის. ვიცი თქვენი გავლენა გენერალ მაქსზე და საზოგადოთ ჩეხელებზე და ამიტომ გთხოვთ მიიღოთ ჩემი გადაწყვეტილება. შეიძლება, ჯერ კიდევ გვიან არ არის. რამოდენიმე დღის შემდეგ კი საქმე საბოლოოდ გადაწყდება არა დონის და საზოგადოთ რუსეთის სასარგებლოთ... თუ თქვენ სამართლიანათ სცნობთ ჩემს მოსაზრებებს და აუცილებლათ მიგაჩნიათ გადაწყვეტილების მიღება, გთხოვთ საიდუმლო დეპეშით შეატყობინოთ პოლკ გიუშეს, რომ ვიცოდეთ, როდის დაიძვრის ჯარი. ზედმეტათ მიმაჩნია იმაზე მითითება, რომ თუ ჩეხელები დაიკავებენ ხსენებულ რაიონებს, მყისვე შეიძლება ნახშირით რუმინიის ფრონტის უზრუნველყოფა, იქიდან კი ჩვენ მოგვივა საომარი საგნები და პატრონები.

მიიღეთ რწმუნება თქვენდამი ჩემი ღრმა პატივისცემისა. გენერალი მ. ალექსეევი“.

როგორც ვიცით რუსეთის კონტრრევოლიუციის ხბომ ბოლშევიკური მგელი ვერ დაიჭირა და ვერც შეაჩერა. დონის ოლქის ბოლშევიკების მიერ დაკავების შემდეგ გენ. ალექსეევი გაიქცა და ახლა ალბად ახალ საბუდარის ძებნაშია.

— ქ. გდოვშია მოსულან ლტოლვილები, რომლებიც გამოქცევიან გერმანელების და ბურჟუაზიის მიერ მოწყობილ დამსჯელ ექსპედიციის რაზმებს. მათი სიტყვით გერმანელები ხვრეტავენ და სახრჩობელაზე აგზავნიან ყველა ბოლშევიკებს, წითელგვარდიელებს და სხვადასხვა კომიტეტების წევრებს.

მდგომარეობა ლუგაში.

ლუგა, 20 მარტი (ა. ს.) ცროვრება ლუგაში ჩადგა თავის კალაპოტში მიმოსვლა რკინის გზაზე აღდგენილია. ნარვის რაიონში სიწყნარეა. რამოდენიმე დღის წინათ გამოჩნდენ ნარვასთან გერმანელების მზვერავები, მაგრამ ჩვენებმა გაფანტეს.

შორეულს აღმოსავლეთში.

მოსკოვი, 21 მარ (ა. ს.) ვლადივოსტოკის მუშათა საბჭომ გადალახა ტელეგრაფისტების წინააღმდეგობა, რომლებსაც არ სურდათ საბჭოთა წარმომადგენლების დაშვება პირდაპირ მავთულთან.

—

საზღვარგარეთ.

როგორც სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, გერმანიის რეიხსტაგში დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატების გაზეთს დაუხასიათებია გერმანელთა საზავო პირობები რუსეთთან, როგორც გაუგონარი ძალადობა: „ამის შემდეგ სასაცილოა მთავრობის რწმუნება, რომ გერმანია მოსურნეა მეგობრობის და მშვიდობიანი მეზობლობის ყველა ხალხებთან. ხალხთა თვითგამორკვევა ფეხ-ქვეშ გასთელეს, დაპირებები არ შეასრულეს. რამოდენიმე კვირის წინ პროგრესიული ბლოკის პარტიები იცავდენ ხალხთა თვითგამორკვევას, ახლა კი ისინი სულმთლად და სავსებით სამხედრო პარტიას ემორჩილებიან. პატიოსნება მოითხოვდა, რომ განსაზღვრული ყოფილიყო საზავო მოლაპარაკების ვადა და თვითგამორკვევის გარკვეული პირობები. ტყუილია, ვითომ რუსეთის დელეგაციამ თითონ შესწყვიტა საზავო მოლაპარაკება მან მხოლოდ უარი სთქვა ხელი მოეწერა ძალადობის ზავზე.

სამარცხვინოა, როცა დიდის ქებით იხსენიებენ უძლურ ხალხზე თავდასხმას. შეგნებული გერმანელი ჯარისკაცები შეძრწუნებული არიან და ღრმა სულის სიმწარით აცხადებენ უარს რუსეთის რევოლიუციის ჩალრჩობაზე. ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ჩავერიოთ რუსეთის და ფინლიანდიის შინაურ საქმეებში. ჩვენი პარტია—აცხადებს გაზეთი—სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთ გიჟურ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ძალადობას ეყრდნობა. ორში ერთი მოხდება: ან სოციალიზმი და დემოკრატია შეიპრება ყველგან, და ყველაზე ადრე გერმანიაში. და მაშინ ეს უსამართლობა და ძალადობა უკუგდებულ იქნება, ან და რუსეთში გაიმარჯვებს და გაბატონდება ბურჟუაზია. მაშინ გერმანიის წინააღმდეგ გამოილაშქრებს გაცილებით უფრო ძლიერი კოალიცია, ვინემ ეს დღეს არის.

— ნიუ-იორკში სოციალისტების დიდ მიტინგის თავმჯდომარემ, რომელიც თავმჯდომარეა ყველა სოციალისტური ფრაქციებისა, განაცხადა: მე ვერ მომინახავს სიტყვები, რომ გამოვხატო ის აღშფოთება იმ მხეცობის გამო, რომელსაც სჩადიან რუსეთში გერმანელთა ბრბოები, პრუსიის თავად-აზნაურობის ნების აღმასრულებელნი.

წერილი რედაქციის მიმართ.

არ იქნა და არ მოისვენა ის. კვიცარიძემ. სადგურის წიგნის შკაფი მას სულ დიერ სიმშვიდეს უკარგავს და ჩემი სახელი ხომ მაჯლაჯუნას აწრდილივით აბორგებს მის „მწიგნობრულ“ ჭკუა-გონებას...

ბევრი მოშხამული წუთები მახსოვს „იმერეთის“ გამგისაგან, მაგრამ რაც ეხლა ჩაიდინა, რა ფანდითაც მან ეხლა მოინდომა ჩემი დამხობა და დამცირება—ეს ყოველივე მოსალოდნელს აღემატება და მოთმინების ძალას სრულიად მაკარგვინებს

იმ ინციდენტის შემდეგ, რომელსაც ჩვენ შორის ადგილი ქონდა აგვისტოში წასული წლისა, როდესაც მე ბ. კვიცარიძის მუდარას დავყაბულდი და მას სწორედ იმ პირობებში დავუწყე გაზეთების მიწოდება, როგორიც მისთვის ხელსაყრელი იყო—თავს სრულიად დამშვიდებულათ ვგრძნობდი. მაგრამ ეს ჯერ იცნო „იმერეთის“ გამგის ყაჩაღური ანგარიშებით გაჟღენთილმა გონებამ და თებერვალში კვლავ იერიშებით მომადგა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შურითა და ბოროტებით დაბრმავებული ადამიანი, ადამიანი—ვერცხლის ბრჭყალით თვალებ მოტაცებული ყოველივე თავის გვერდით მდგომში მოსისხლე მტერსა ხედავს და შემთხვევას ეძებს, თავს გიჟდის—საიდან უფრო შესაძლოა მისი შეფერხება და მიწად განრთხმა.

ასევე დაემართა კვიცარიძეს. მიუხედავად მოცემული სიტყვისა, იგი თურმე მარჯვე შემთხვევას ეძებდა ჩემს გასაუბედურებლად. რის წარმოდგენაც მას თურმე სიამოვნების ჟრუანტელსა გვრიდა. აი ერთი კვირის წინ კონტრააგენტისტურ სუვორინის ამიერ კავკასიის რწმუნებულმა სიდოროვი გამოსცვალეს და მის ადგილას ბუკია დანიშნეს. აი ამ ადამიანთან პირდაპირ მიჯამუშა ის. კვიცარიძემ. შკაფი ჩამოართვით ტუაბლაძეს და მე მომეცით—აი დედა აზრი წერილისა, რომელიც კვიცარიძემ გაუგზავნა ბ. ბუკიას და რომელიც უკანასკნელმა მეც წამიკითხა. და იცით როდის გაგზავნა ეს „დონოსი“? სწორედ იმ მატარებლით, რომლითაც მე სუვორინის რწმუნებულთან მივდიოდი (ანგარიშის გასასწორებლად) თბილისში, სადაც გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ რედაქციისადმი გადასაცემად კვიცარიძემ, ჩემმა ძვირფასმა მოყვარემ 1000 მანეთი მეც გადმომცა!.

ბ-ო კვიცარიძევ! ნუ თუ მთელი გაქვთ კიდევ შურის ძარღვები, ნუ თუ ერთხელ მაინც არ აგითამაშდათ პირისახეზე სირცხვილის ფერი, როდესაც ჩემი დასმენის ბარათს უგზავნიდით „სუვორინს“ რად მოგხიბლათ ეგრე რიგად ოქროს როლმა. ასე რად დაკარგეთ მოქალაქეობრივი სინიდისი და კაცობა, რომ ჩემს უბედურობას მე ადარ მაგებინებ?

საზოგადოების სამსჯავროსთვის მიმინდვია ის. კვიცარიძის მოქმედების დაფასება. ხოლო მან პირადათ იცოდეს, რომ პირობა ჩვენს შორის დადებული მისგან დარღვეულია და 500 მან. რომელიმე ორგანიზაციის სასარგებლოდ დაუყონებლივ გადაიხადოს მ. ტუაბლაძე.

---

რედაქცია—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—დასავლეთ ამიერ-კავკ.
ორგანიზაციების კომიტეტი.

---

ადგილობრივ ორგანიზაციების საყურადღებოთ.

ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა უნდა იქონიონ პასუხისმგებელი კორესპონდენტი. უგზავნეთ „ჩვენს ბრძოლას“ ცნობები და ანგარიშები, შემოწმებული და მოკლეთ დაწერილი.

8 მარტიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური გაზეთი

„ჩვენი ბრძოლა“

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლით | 40 მ. | ორი თვით | 6 მ. 50 კ. |
| ექვსი თვით | 20 მ. | ერთი თვით | 3 მ. 50 კ. |
| სამი თვით | 10 მ. | ცალკე ნომერი | 15 კ. |

მისამართი: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари“—Михаилу Медзмаріашвили для газеты „Чвени Брдзола“.